ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში.</p> <p>პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p> <p>ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.)</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;</p> <p>აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/ სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 30-ე მუხლის თანახმად მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების გატარებას, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.</p> <p>. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „საზაფხულო ბანაკის“ მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 2021-22 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებისთვის და მე-12 კლასელებისთვის და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში, კერძოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირებას. საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში-არაფორმალურ გარემოში, გაივლიან სატრენინგო კურსს კვალიფიციურ ტრენერებთან.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელება; ახალგაზრდების</p>

		დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროექტებში; ახალგაზრდების წახალისება.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი		განხორციელებულია პროექტები და გაზრდილია პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა		
მიღწეული შედეგი		განხორციელებულია პროექტები და გაზრდილია პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა		
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	განხორციელებული პროექტების რაოდენობა			
	5	7	7	
2	პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			
	224	535	532	
3	ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი საგრანტო ქულის მქონე სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა			
	34	40	39	
4	საგანმანათლებლო ღონისძიებებში (კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები და სხვა) მონაწილე მოსწავლეების წახალისება/დაჯილდოება			
	0	4	4	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (04 02 02)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიზანი - საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის კომფორტული სასკოლო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესზე დროული დასწრება.			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობა			
მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და მოსწავლეებისთვის საჯარო სკოლებში შექმნილია კომფორტული სასწავლო გარემო.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	ტრანსპორტირებას დაქვემდებარებულ სკოლების/მოსწავლეთა რაოდენობა			
	34/1675	34/1785	34/1691	
2	სარეაბილიტაციო სკოლების რაოდენობა			
	14	6	5	

პრიორიტეტის დასახელება - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - ორგ. კოდი - 05 00

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური გეგმა	წლიური ფაქტი	შესრულება %
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,045.3	4,027.7	99.6
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	737.3	723.1	98.1
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	985.0	984.9	100.0
05 01 02 01	საფეხბურთო კლუბის განვითარების ხელშეწყობა	846.0	845.9	100.0
05 01 02 02	ქალთა ფეხბურთის განვითარება	65.0	65.0	100.0
05 01 02 03	ამპუტატნთა ფეხბურთის განვითარება	74.0	74.0	100.0
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	2,323.0	2,319.6	99.9

05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,498.7	3,353.8	95.9
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	218.2	152.1	69.7
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	72.0	72.0	100.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	1,720.1	1,674.3	97.3
05 02 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	215.9	206.7	95.7
05 02 05	სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაცია	690.8	683.5	99.0
05 02 06	მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	437.0	427.0	97.7
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	64.8	59.4	91.7
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	80.0	78.7	98.4
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	460.0	440.2	95.7
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონული ხარჯის დაფინანსება	120.0	100.4	83.7
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	340.0	339.8	99.9
სულ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი		8,004.0	7,821.7	97.7

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (05 01 01)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მონიტორინგი, ტურნირზე გამარჯვებული სკოლების საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. გამარჯვებული სკოლა საქართველოს წარადგენს მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე. მათი ხელშეწყობის მიზნით გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მონაწილე გუნდების ეკვიპირების, სიგელების და თასების შესყიდვას.</p> <p>რაგბიში და კალათბურთში ჩართული გუნდებისა და სკოლებისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, ამ გზით მათი სპორტული მიღწევების და შემდგომი პროგრესის ხელშეწყობა. მერია აცხადებს მზადყოფნას რამდენიმე ასაკობრივი გუნდის, რომლებიც ასპარეზობენ უმაღლეს ლიგაში („დიდი 10“) გარკვეული თანხით დაფინანსებას, მათი წახალისების მიზნით, რაც მიმართულია რაგბის განვითარებისკენ.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსპექტიული სპორტსმენების გარკვეული თანხით წახალისებას სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. პროგრამით მოსარგებლე სპორტსმენმა უნდა დაასაბუთოს რა სპორტული შედეგის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება კონკრეტულ სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა.</p> <p>ქვეპროგრამა შესაძლებლობას აძლევს შშმ პირებს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში. აგრეთვე გათვალისწინებულია წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში და წარმოაჩენენ თავს მიღწეული შედეგებით.</p> <p>მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, მოზარდების ჩართვა სპორტულ სექციებში. წლის შედეგების მიხედვით, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დაჯილდოვება.</p>			
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება			
	რაგბის განვითარების ხელშეწყობა			
	პერსპექტიული სპორტსმენების ხელშეწყობა			
	მასობრივი სპორტის განვითარების და შშმ პირთა ხელშეწყობა			
	კალათბურთის განვითარების ხელშეწყობა			
	სპორტული სასკოლო ოლიმპიადა			
	სპორტული აქტივობების თანადაფინანსება			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები			
მიღწეული შედეგი	ჩატარებულია პროგრამით დაგეგმილი ყველა ღონისძიება. დაჯილდოებულია წარმატებული მწვრთნელები და სპორტსმენები.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო	დაგეგმილი	მიღწეული	
			ცდომილების	

	მაჩვენებელი	მაჩვენებელი	მაჩვენებელი	მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა				
	5	16	15		
2	დაჯილდოებული მწვრთნელები და სპორტსმენები				
	20	100	97		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 28 ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას, რომელიც დაკომპლექტებულია 750 მოზარდით (მათ შორის 236 გოგო 514 ბიჭი). ასევე უზრუნველყოფს ქალთა და ამპუტანტთა გუნდების მომზადებას წლის განმავლობაში სხვადასხვა ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად. საფეხბურთო ვარჯიშები და წვრთნები მიმდინარეობს 8 სპორტულ სტადიონზე, რომლის მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფეხბურთო კლუბი. ფუტსალის გუნდი შედგება 12 ფეხბურთელისგან და 2 მწვრთნელისგან. წლის განმავლობაში გუნდი გადის მომზადებას და წარმატებით მონაწილეობს ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონატში, რითაც პოპულარიზაციას უწყევს სპორტის ამ სახეობას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქალთა და ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. გუნდების ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატებში. ფეხბურთის ერთ-ერთი სახეობის - ფუტსალის განვითარების ხელშეწყობა.</p>				
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება				
	ფეხბურთის კლუბის განვითარება - ორგ. კოდი - 05 01 02 01				
	ქალთა ფეხბურთის განვითარება - ორგ. კოდი - 05 01 02 02				
	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება - ორგ. კოდი - 05 01 02 03				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.				
მიღწეული შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ფეხბურთის ხელმისაწვდომობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობა				
	28	28	32		
2	მოზარდებისა და ახალგაზრდების რაოდენობა				
	750	750	800		
3	წარმატებული თამაშები ეროვნულ ჩემპიონატში				
	ფუტსალის გუნდმა 2019 წელს დაიკავა მესამე ადგილი, 17 წლამდელთა გუნდმა 2020 წელს დაიკავა მესამე ადგილი, 2008 წლიანთა გუნდმა 2021 წელს გაიმარჯვა მშვიდობის თასის გათამაშებაში	2022 წელს ფუტსალის გუნდი და ასაკობრივი გუნდები გეგმავენ წარმატებით ასპარეზობას და სპორტო ადგილების მოპოვებას.	2022 წელს ფუტსალის გუნდმა დაიკავა მე-5 ადგილი და მოხვდა პლეიოფში		
4	წარმატებული თამაში ქალთა ფეხბურთის ჩემპიონატში				
	2020 წელს გუნდი გადავიდა უმ ალეს ლიგაში და დაიკავა მეექვსე ადგილი, 2021 წელს სავარაუდოდ დარჩება უმაღლეს ლიგაში და დაიკავებს მეოთხე ადგილს.	2022 წელს გუნდი გეგმავს უმაღლეს ლიგაში დარჩენას და მეოთხე ადგილის დაკავებას	2022 წელს ქალთა გუნდი გავიდა მე-2 ლიგაში პირველ ადგილზე		
5	წარმატებული თამაში ამპუტანტ ფეხბურთელთა ჩემპიონატში				

	2020 წელს ჩემპიონატში გუნდმა დაიკავა მეოთხე ადგილი, 2021 წელს სავარაუდოდ სამეულში მოხვდება	2022 წელს გუნდი გეგმავს სამეულში მოხვედრას	2022 წელს ამპულტანტთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში დაიკავა პირველი ადგილი. საქართველოს თასის გათამაშებაში პირველი ადგილი და მოიგო სუპერთასი		
--	--	--	---	--	--

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა (05 01 03)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ბავშვთა და მოზარდთა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპორტის ისეთ სახეობებში როგორცაა: კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, კრივი, ექსტრემალური სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტანვარჯიში, კიკბოქსინგი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ჩოგბურთი...; სპორტის სააგენტო სულ აერთიანებს 20 სპორტულ მიმართულებას. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 3164 სპორტსმენი, საიდანაც 773 გოგონაა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტსმენების სტატისტიკა შემდეგია: 1. უმცროსი ასაკის 1848 სპორტსმენი მათ შორის 243 გოგო, 2. უფროსი ასაკის 655 სპორტსმენი მათ შორის 274 გოგო, 3. ახალგაზრდები 504 სპორტსმენი მათ შორის 166 გოგო, 4. დიდები (უფროსები) 157 სპორტსმენი, მათ შორის 90 გოგო. დაგეგმილია სხვადასხვა ტურნირებში, შეკრებებსა და გასვლით ღონისძიებებში სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება, ასევე ადგილობრივი სპორტული ტურნირების მოწყობა.</p> <p>2. ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორი“-ში და თავისუფალი ჭიდაობის კლუბში გაწევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასაკობრივი ჯგუფებისა და ძიუდოს კლუბის განვითარების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად.</p>				
ქვეპროგრამის ღონისძიებები	<p style="text-align: center;">ღონისძიების დასახელება</p> <p>ჩოჩიშვილის სახელობის სკოლა</p> <p>კრივის სკოლა</p> <p>პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლა</p> <p>ექსტრემალური სპორტი</p> <p>სხირელის სახელობის ჭიდაობის სკოლა</p> <p>ვარიანის კრივის სკოლა</p> <p>ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორი“</p> <p>თავისუფალი ჭიდაობის კლუბი</p>				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია ასაკობრივი ჯგუფებისა და სპორტული კლუბის „გოლდენ გორის“ განვითარება.				
მიღწეული შედეგი	გაზრდილია საპრიზო ადგილების რაოდენობა, შემცირებულია მოზარდთა მომართვიანობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ფუნქციონირებადი სპორტული სახეობების რაოდენობა				
	20	20	20		
2	სპორტული წრეებით მოსარგებლე მოზარდების და ახალგაზრდების რაოდენობა				
	3 164	3 164	2 641		
3	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა (გასვლითი)				
	153	250	198		
4	სპორტული ღონისძიებების რაოდენობა (ადგილობრივი)				
	10	29	26		
5	სპორტული შეკრებების რაოდენობა				გადაიდო სპორტული ღონისძიებები

	0	18	0	ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე
--	---	----	---	--

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება (05 02 01)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოღვაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ასევე მოხდება შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრებით ან ფულადი ჯილდოთი.</p> <p>მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება, სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.</p>				
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება				
	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება				
	საპატიო გორელების და კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოვება				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	განხორციელებული კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვანების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.				
მიღწეული შედეგი	განხორციელებულია კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვანების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი		ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	განხორციელებული პროექტების რაოდენობა				
	4	17	15		
2	საპატიო გორელების და კონკურსებში გამარჯვებული ხელოვანების რაოდენობა				
	50	60	48		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (05 02 02)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გაზეთ „გორის მაცნე“-ს საქმიანობა - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება, მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება, ასევე აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ-გვერდის ამოქმედება და გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება.</p> <p>მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყანაში და რეგიონში არსებული მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება.</p>			
ქვეპროგრამის	ღონისძიების დასახელება			

ლონისძიებები		გაზეთი „გორის მაცნეს“ გამოცემა ყოველკვირეულად ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება		
დაგეგმილი შუალედური შედეგი		საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდება.		
მიღწეული შედეგი		უზრუნველყოფილია ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა. საზოგადოებისთვის ყოველდღიურად ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება ვებ-პორტალის მეშვეობით.		
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	გაზეთის გამოცემული ნომრების რაოდენობა			
	14 400	15 000	14 440	
2	ვებ-გვერდზე განთავსებული ნიუსების რაოდენობა			
	5 000	5 000	4 900	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა (05 02 03)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სექციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობის განხორციელება; კულტურის განყოფილებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავახალხიზა, ქიწნისი, მეჯვრისხევი, ტყვიავი, ზერტი, ძვერა, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორის სუბიშვილის ნომერ 20-ში - ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის წრე, ქართული ენის წრე, საესტრადო ენის წრე, ქორეოგრაფიული ცეკვის წრე, რუსული ენის წრე, ინგლისური ენის წრე, თექის წრე. ხალხური საკრავების წრე (დოლები და საგალობელი), თეატრალური წრე; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის წრე, ვარიათი - ხალხური საკრავები, ძვერა - ხატვა, ხალხური სიმღერები. ზედდუღეთი - ჭადრაკი, კარალეთი - ჭრა-კერვა, ქსოვა, ხატვა; ფლავისმანი - ხელგარჯილობა, ხიდისთავი - ქსოვა, ხატვა, დოლები. ქვახვრელი - ჭადრაკი, ატენი - სიმღერის, შავშვები - სიმღერა, მათემატიკა. მეჯვრისხევი - ცეკვა-კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაცნობა. მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მისაცემად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სექციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორცაა: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისის და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგნობრივი მიმართულებით. კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დადუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ოჯახების ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა. ასევე საახალწლო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>მიზანი - მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.</p>			
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება			
	კულტურის ცენტრების ხელშეწყობა			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „გორის“ ხელშეწყობა			
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.			
მიღწეული შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული			

ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.					
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	კულტურის ცენტრებში არსებული წრეებით მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა				
	720	800	800		
2	კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა				
	5	15	16		
3	ფესტივალების და კონკურსების რაოდენობა				
	1	5	5		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (05 02 04)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი ინდუსტრიის უზრუნველყოფა და მისი განვითარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რეგიონის ეკონომიკისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების მეშვეობით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, პოპულარიზაცია და ვიზიტორებისთვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნა. ზრუნვა ტურიზმის განვითარებისთვის. ანალოგიური ტურისტული ბაზრებისთვის კონკურენციის გაწევა. აღნიშნულ სფეროში განათლების ხარისხის ამაღლება. ინვენტორების მოზიდვა, მომსახურების სფეროს ხარისხის გაუმჯობესება. ეფექტური პარტნიორობის მეშვეობით, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და კერძო სექტორისადმი დახმარება.</p> <p>მიზანი - ტურიზმის სფეროში ინვენტორების მოზიდვა, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა. ეფექტური პარტნიორობით, ადგილობრივი კერძო სექტორის ხელშეწყობა და განვითარება.</p>				
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება				
	ტურისტული გიდების მომზადებისა და მოლაშქრეთა კლუბების ხელშეწყობა				
	ტურისტული საინფორმაციო ცენტრის (გზამკვლევი) ხელშეწყობა				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	გაზრდილი ტურისტების და ვიზიტორების რაოდენობა.				
მიღწეული შედეგი	ხელშეწყობილია ტურიზმის სფეროს განვითარება და შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტში უცხოელი ტურისტებისა და ადგილობრივი ვიზიტორების მოზიდვისთვის.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა				
	550 000	650 000	650 000		
2	კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების რაოდენობა				
	7	12	12		
3	დაბეჭდილი გზამკვლევებისა და სხვადასხვა ტურისტული მასალების რაოდენობა				
	5	10	10		
4	მოძიებული ახალი ტურისტული მარშრუტების რაოდენობა				
	2	3	5		
5	მოწყობილი ლაშქრობების რაოდენობა				
	2	5	5		

ქვეპროგრამის დასახელება	სახელოვნო განათლების ხელშეწყობა (05 02 05)
-------------------------	---

(პროგრამული კოდი)					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ქვედა საფეხურის სამუსიკო განათლების 5 სკოლა: სკრის, ატენის, ტირმნისის, ტყვიავის, ხელთუბნის. საბაზო-საორიენტაციო - ქ. გორში ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1033 ბავშვი. მათ შორის: გოგო 53% და ბიჭი 47%. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 167 თანამშრომელს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 352 ბავშვი. მათ შორის: გოგო 46% და ბიჭი 54% სკოლაში სულ დასაქმებულია 16 თანამშრომელი, მათ შორის 9 პედაგოგი.</p> <p>მიზანი - მოზარდებში მუსიკალური და მხატვრული განათლების მიცემა, განსაკუთრებული მუსიკალური და მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>			
ქვეპროგრამის ღონისძიებები		ღონისძიების დასახელება			
		სამუსიკო სკოლების ხელშეწყობა			
		ა.ფერამის სახელობის სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა			
		კ.მეღვინეთუხუცესის სახელობის ხიდისთავის ხელოვნების სკოლის ხელშეწყობა			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე სრულად არის ხელმისაწვდომი. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში.			
მიღწეული შედეგი		შექმნილია თანაბარი პირობები მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური და სახელოვნებო განათლების მისაღებად და ხელშეწყობილია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი		ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მიერ გამართული ღონისძიებების რაოდენობა			
	4	8	8		
2	სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა				
	1 385	1 385	1 300	6%	
3	საერთაშორისო კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობა				
	1	5	5		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის ხელშეწყობა (05 02 06)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ობიექტები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუზეუმები; ნიკო ლომოურის და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმები; ე.წ „ერეკლეს აბანო“; 3 ბიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილთა და საბავშვო, მწერალთა სახლი.</p> <p>მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114 126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 215-ს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში იგეგმება ევროკავშირის მიერ აშენებული ქართული ტრადიციული სახელოსნოების გახსნა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდება და უკვე ახალ რეაბილიტირებულ მუზეუმში იგეგმება ნუმისმატიკის დარბაზის გახსნა უახლესი ტექნიკის აღჭურვილობით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გავუფრთხილდეთ წარსულს უკეთესი მომავლისათვის“.</p>			

	<p>ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112 148 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 383 000 მოსახლე. აგრეთვე შექმნილია მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება. ღონისძიებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და ასევე მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება. ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მომზადება, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება. თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა. შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოფენების მოწყობა.</p> <p>მიზანი - ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. ძველი თაობის და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია.</p>			
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება			
	მუზეუმების ხელშეწყობა			
	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა			
	მწერალთა სახლის ხელშეწყობა			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, გამოცემულია ლიტერატურული ჟურნალი და კონკურსების ჩატარების შედეგად გამოვლენილია საუკეთესო მწერლები.			
მიღწეული შედეგი	ხელშეწყობილია შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა და უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ეფექტური ფუნქციონირება, ლიტერატურული გამოცემების დაფინანსება და კონკურსების ჩატარება და მხარდაჭერილი არიან ახალგაზრდა მწერლები.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
			ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ბიბლიოთეკებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა			
	17 473	18 000	18 000	
2	მუზეუმებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა			
	400	400	400	
3	ჩატარებული ღონისძიებების და ლიტერატურული შეხვედრების რაოდენობა			
	34	42	42	
4	გორელი მწერლების წიგნების და ჟურნალ „მწიგნობარის“ გამოცემათა რაოდენობა			
	4	5	7	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა (05 02 07)			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის ციხის ტერიტორიაზე განთავსებული დეკორატიული განათების სისტემის დაცვა. მიზანი - განათების სისტემის დაცვის უზრუნველყოფა.			
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	დაცული განათების სისტემა.			
მიღწეული შედეგი	დაცულია განათების სისტემა.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო	დაგეგმილი	მიღწეული	
			ცდომილების	

	მაჩვენებელი	მაჩვენებელი	მაჩვენებელი	მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	დაცვას დაქვემდებარებული სისტემის რაოდენობა				
	1	1	1		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (05 02 09)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია ისეთი მიმართულებები, რომლის გარეშე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება წარმოუდგენელია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალგაზრდული ინიციატივების და პროექტების თანადაფინანსება - ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტში იმ იდეების განხორციელებას, რომელიც თავად სურთ ახალგაზრდებს. გარდა ამისა, გამოყენებულია საერთაშორისო სტანდარტი - ოქროს სამკუთხედი, რაც ახალგაზრდების, არასამთავრობო სექტორის და მუნიციპალიტეტის ჩართულობას გულისხმობს პროექტის განხორციელებისას. - ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის ქვეპროგრამა - ხელს უწყობს ყველა იმ ახალგაზრდას, რომელმაც გაიმარჯვა კონკურსში, ან რაიმე სახით იქნა შერჩეული სხვა კანდიდატებს შორის და მიემგზავრება სხვადასხვა მიზნით საზღვარგარეთ. - სოციალურად აქტიური ახალგაზრდების წახალისების პროგრამა - სოციალურად აქტიური ახალგაზრდების და ასევე სოციალურად პასიური ახალგაზრდების წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ჰქონდეთ განცდა მათი შრომის დაფასების, რაც ერთთავად გაზრდის შრომისუნარიანობას სოციალურად აქტიურ ახალგაზრდებში და სტიმულს მისცემს სოციალურად პასიურ ახალგაზრდებს გახდნენ აქტიურები. <p>ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ხელშეწყობა - დაეხმარება ყველა იმ ახალგაზრდას, რომელსაც მიზნის მისაღწევად ჭირდება მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას.</p> <p>მიზანი - ახალგაზრული ორგანიზაციების განვითარება, შემდგომში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდის მიზნით.</p>				
ქვეპროგრამის ღონისძიებები	ღონისძიების დასახელება				
	ახალგაზრდული პროექტების/პროგრამების დაფინანსება/თანადაფინანსება				
	ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა				
	სოციალურად აქტიური მოქალაქეების (მოხალისეების) მხარდაჭერა და წახალისება				
	ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა და ხელშეწყობა				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ახალგაზრდული პროექტების წარმატებით განხორციელება.				
მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია ახალგაზრდული პროექტების წარმატებით განხორციელება.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	დაფინანსებული პროექტების და ღონისძიებების რაოდენობა				
	15	10	10		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონული ხარჯის დაფინანსება (05 03 01)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების მიერ დახარჯული ელექტრონული ხარჯის ღირებულების ანაზღაურება.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.</p>				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები				
მიღწეული შედეგი					
დაგეგმილი შუალედური შედეგის		მიღწეული შედეგის			განმარტება

შეფასების ინდიკატორი		შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	დაფინანსებული რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობა			
	68	68	68	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება (05 03 02)				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების, რელიგიური კერების აღდგენა, რეაბილიტაცია და ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობა. მათ შორის ყველა მოცემულ საკითხში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მიზანი - მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მშენებლობის ხელშეწყობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.				
მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.				
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი		ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	რეაბილიტირებული რელიგიური კერები				
	2	3	3		

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - ორგ. კოდი - 06 00

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური გეგმა	წლიური ფაქტი	შესრულება %
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,931.3	1,780.8	92.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	199.5	176.8	88.6
06 01 02	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, გლუტენის დაავადება, კანის ქრონიკული, ჰიდროცეფალით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება და სამედიცინო დახმარება	382.9	364.7	95.3
06 01 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	586.2	533.4	91.0
06 01 04	ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	592.3	544.9	92.0
06 01 05	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	117.1	110.8	94.7
06 01 06	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	48.7	46.5	95.5
06 01 07	აქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება	4.6	3.6	78.3
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1,397.7	1,344.0	96.2
06 02 01	მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	108.6	106.7	98.2
06 02 02	ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება	5.0	5.0	100.0
06 02 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	41.0	38.0	92.7

06 02 04	შრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	253.6	247.7	97.7
06 02 05	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	44.3	42.7	96.4
06 02 06	ატუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	58.0	57.0	98.3
06 02 07	სოციალური პროექტების თანადაფინანსება	321.0	298.5	93.0
06 02 08	ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	44.5	44.5	100.0
06 02 09	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	34.0	33.4	98.2
06 02 10	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით	14.0	11.8	84.6
06 02 11	მარტოხელა მშობლის დახმარება	61.4	60.7	98.9
06 02 12	სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება	240.1	232.6	96.9
06 02 14	ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	4.8	4.5	93.8
06 02 15	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა	93.0	87.3	93.9
06 02 16	2021 წლის 01 იანვრიდან სასჯელ-აღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	1.0	0.5	53.6
06 02 17	2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული არულლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება	2.9	2.5	87.9
06 02 19	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება	70.5	70.5	100.0
06 03	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	414.9	414.8	100.0
06 03 01	მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ხელშეწყობა	414.9	414.8	100.0
სულ				
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		3,743.9	3,539.6	94.5

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (06 01 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამოქმედო არეალში ეპიდემიამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება. სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ცოფის გავრცელების სუბტყავიური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა. კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მათ შორის ანტირაბიული და სპეციფიური შრატებით, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით – „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით და მონიტორინგი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სავაჭრო დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა. სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლექცია საუბრებით. საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება--გავრცელება. მასმედიასთან ურთიერთობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.</p>
ქვეპროგრამის	ღონისძიების დასახელება

ლონისძიებები		ეპიდზედამხედველობა			
		იმუნიზაცია			
		ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა			
დაგეგმილი შუალედური შედეგი		ინფექციური დაავადებების შემცირების და ვაქცინით მართვადი ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე შემცირების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.			
მიღწეული შედეგი		შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.			
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)		
1	ინფექციურ დაავადებებზე ზედამხედველობადაცხარებულ პირთა რაოდენობა 3 700	4 000	6 348	მოცემულ რაოდენობაში იგულისხმება კოვიდზე ზედამხედველობა	
2	პარაზიტული დაავადებების საწ. პროფილაქტიკური ღონისძიებების მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 3 800	2 500	433	82,7	კოვიდპანდემიის გამო ჰელმინთებზე ანალიზის მომართვიანობა შემცირებულია
3	კალენდარული გეგმით განსაზღვრული ასაცრელ ბავშვთა რაოდენობა 25 000	25 000	17 616	29,5%	შობადობის შემცირება
4	ანტირაბიული და სპეციფიკური შრატებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 1 800	2 700	3 661		
5	სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით მოსარგებლე პირთა რაოდენობა 2 500	3 500	2 220	36,6%	კოვიდაცრების გამო, ნაკლები მომართვიანობა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრაზე
6	თამბაქოს მოხმარების კონტროლის მიზნით შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა 240	250	303		
7	ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების კონტროლის თვალსაზრისით შემოწმებული ობიექტების რაოდენობა 35	40	28	30%	
8	ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარჩვევების დამკვიდრება (საჭიროების შემთხვევაში - დისტანციურად) 70	100	80	20%	

